

25 აპრ. სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი სამეცნიერო ვებინარებს ახალი განრიგით ჩაატარებს

ქვეყანაში არსებული ვითარების გათალისწინებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი რომელიც დაარსებულია 1929 წელს, 2020 წლის 26 აპრილიდან საკომუნიკაციო პროგრამა ZOOM - ის გამოყენებით (ნაცვლად Skype - პროგრამისა) გააგრძელებს მეცნიერულ საქმიანობას დისტანციურ ონლაინ რეჟიმში ახალი განრიგით.

ინსტიტუტის განყოფილებების ხელმძღვანელების, მეცნიერ-თანამშრომლების, დოქტორანტებისა და სპეციალისტების ტრადიციული მეცნიერული ღონისძიებებისა და სემინარების ვებინარი განხორციელბა შემდეგი ახალი განრიგით:

ორშაბათი 12.00 საათზე.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტალური კვლევების საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტის # FR17_615 „მოწყვლადი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების რისკების თეორიული კვლევა მოსალოდნელი კატასტროფების ფორმირებისას“ განხილვა. გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი, კოორდინატორი, აკადემიური დოქტორი ასოცირებული პროფესორი, თამრიკო სუპატაშვილი.

საგრანტში პროექტში დასაქმებულია - 10 მეცნიერ - თანამშრომელი;

სამშაბათი 12.00 საათზე

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი გრანტის # AR-18-1244, „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიური ბარაჟი“ განხილვა. გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი, კოორდინატორი აკადემიკოსი, ოთარ ნათიშვილი.

საგრანტო პროექტის კონსორციუმის წევრები - გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო ორგანიზაცია ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრი და შ.პ.ს. ი.ჯი.ეი. საგრანტში პროექტში დასაქმებულია - 22 მეცნიერ - თანამშრომელი;

ოთშაბათი 12.00 საათზე

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი გრანტის # AR-18-1491 „თანამედროვე ღვარცოფსაწინააღმდეგო კონსტრუქციის ეფექტურობის და საიმედოობის შეფასება მდინარე მლეთის ხევის ღვარცოფსადინარის მაგალითზე“ განხილვა. გრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტექნიკის აკადემიური დოქტორი, მთავარი მეცნიერი გოგა ჩახაია; კოორდინატორი, აკადემიური დოქტორი უფრ. მეცნიერ-თანამშრომელი ლევან წულუკიძე;

საგრანტო პროექტში დასაქმებულია - 9 მეცნიერ - თანამშრომელი;

ხუთშაბათი - პარასკევი, 11.00-15.00 სთ

პროგრამული დაფინანსების პროექტის: „წყლის რესურსების უსაფრთხოება და ინტეგრირებული მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით“ (2020 - 2025 წწ). განხილვა მიმართულებების მიხედვით:

- **ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება** - ხელმძღვანელი რობერტ დიაკონიძე, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერი;
I ქვემიმართულება - ბუნების სტიქიური მოვლენების სენსიტიური უბნების მეცნიერული კვლევა და მათი კარტოგრაფირება GIS ტექნოლოგიების გამოყენებით;
- **ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება** - ხელმძღვანელი ირინა იორდანიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერი;
II ქვემიმართულება - კლიმატის ცვლილებისა და ანთროპოგენული ზემოქმედებით გამოწვეული შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს და მთის წყალსაცავიანი სისტემების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება, ინოვაციური, ჰიდროსაიზოლაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ნაპირსამაგრი ტექნოლოგიების დამუშავება ;
- **მელიორაციის განყოფილება** - ხელმძღვანელი ზურაბ ლოზჟანიძე, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, მთავარი მეცნიერი;
III ქვემიმართულება - საქართველოს წყლის რესურსების მართვის თანამედროვე ოპტიმალური მეთოდების დამუშავება ირიგაციის პირობებში;
- **გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება** - ხელმძღვანელი ეკატერინე თოფურია, ქიმიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერი;
IV ქვემიმართულება - წყლის რესურსების სტანდარტისა და ხარისხის კვლევა გარემოს-დამცავი ღონისძიებების მხედველობაში მიღებით;
- **მელიორაციული სისტემების დაპროექტებისა და ექსპერტიზის განყოფილება** - ხელმძღვანელი - შორენა კუპრეიშვილი, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერი;
V ქვემიმართულება - კოლხეთის დაბლობსა და ალაზნის დამლაშებული ნიადაგების პირობებში მელიორაციული სისტემების ინტეგრირებული მართვა;
- **ინოვაციური ჯგუფი** - **VI ქვემიმართულება** - ლაბორატორიული ინოვაციური მეცნიერული კვლევები.
- **ვებინარის მუშაობაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ** ფოთის, გორის, დუშეთის, გარდაბნის და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში განთავსებული ინსტიტუტის სამეცნიერო - სასწავლო ეკოლოგიური კვლევითი პუნქტების ხელმძღვანელები;

15.00 – 17.00 სთ.

- **დოქტორანტების სემინარული მუშაობა**

ინსტიტუტში მუშაობენ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსიტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტის განყოფილების მე-2 კურსზე სწავლას აგრძელებს 4 დოქტორანტი (ქეთევან დადიანი, ხათუნა კიკნაძე, ნანა ბერაია, ლია მაისაია), რომელთა თემატიკას წარმოადგენს საქართველოში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების დაზუსტებული პროგნოზირება და მათი კონტროლი ინოვაციური და საიმედო საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებებით;

მოდერატორი:

ინსტიტუტის დირექტორი: გივი გავარდაშვილი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერი; e-mail: givi_gava@yahoo.com ; gwmil929@gmail.com
ვებ-გვერდი: www.wmi.ge

ინსტიტუტის ღონისძიებებისა და სემინარების ჩატარების ორგანიზაციულ მხარეს ხელმძღვანელობენ:

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: რობერტ დიაკონიძე, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, მთავარი მეცნიერი; e-mail: robertdia@mail.ru

ინსტიტუტის სწავლული მდივანი - მარინა მღებრიშვილი - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, მეცნიერ-თანამშრომელი; e-mail: marmgebroyahoo.co.uk